

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს
შექმნისა და საქმიანობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) შექმნისა და საქმიანობის შესახებ დებულება (შემდგომში „დებულება“) შემუშავებულია ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ (შემდგომში „ასოციაცია“) წესდებისა (შემდგომში „წესდება“) და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. დებულების ნორმები არეგულირებს საბჭოს შექმნის პროცედურას, მისი დაკომპლექტების წესსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
3. საბჭოს უფლებამოსილებები და სტატუსი განისაზღვრება ამ დებულებითა და ასოციაციის წესდებით.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობა

1. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
 - ა) ასოციაციის საქმიანობის ხელშეწყობა
 - ბ) ასოციაციის გამგეობისთვის საქმიანობის სპეციფიკურ საკითხებში კონსულტაციების გაწევა
 - გ) ასოციაციის გამგეობისთვის სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების და საექსპერტო დასკვნების მომზადება
 - დ) ასოციაციის წინაშე არსებული პრობლემატიკის განხილვა-ანალიზი და მათ გადაჭრაში დახმარება
 - ე) ასოციაციის წევრთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა
 - ვ) ასოციაციის საქმიანობის ახალი მიმართულებების შესახებ წინადადებების მომზადება და გამგეობისთვის წარდგენა.

თავი II

საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 3. საბჭოს შექმნა

1. საბჭო აირჩევა საერთო კრების მიერ ასოციაციის გამგეობის უფლებამოსილების ვადით.
2. საბჭო შედგება 11 წევრისაგან, ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარისა და პარტიტეტული პრინციპით დაკომპლექტებული, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მქონე, ასოციაციის წევრი შემდეგი შემოქმედებითი საქმიანობის სფეროების 10 წარმომადგენლისაგან:
 - ა) მუსიკალური ნაწარმოების ავტორი - 3 წევრი
 - ბ) ლიტერატურული და/ან მეცნიერული ნაწარმოების ავტორი - 1 წევრი
 - გ) კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორი - 1 წევრი
 - დ) თეატრალური ხელოვნების ნაწარმოების ავტორი - 1 წევრი
 - ე) სახვითი ხელოვნების და/ან არქიტექტურული ნაწარმოების ავტორი - 1 წევრი
 - ვ) შემსრულებელი - 2 წევრი
 - ზ) მაუწყებლობის ორგანიზაცია, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამის და/ან ვიდეოგრამის დამამზადებელი - 1 წევრი
3. საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს ასოციაციის წევრი, რომელიც კარგად იცნობს ასოციაციის სამუშაო სფეროს სპეციფიკას და ამ დებულებით განსაზღვრული მიმართულებებით გააჩნია შესაბამისი გამოცდილება.
4. საბჭოს წევრის შრომა არ ანაზღაურდება
5. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენა შეუძლიათ ასოციაციის გამგეობის წევრებსა და ასოციაციის წევრ ნებისმიერ პირს.
6. კანდიდატურები წარედგინება ასოციაციის გამგეობას.
7. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საერთო კრებაზე დამსწრეთა ხმებიდან უფრო მეტ ხმას.
8. საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას ასოციაციის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრი, გარდა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარისა, რომელიც ავტომატურად არჩეულად ითვლება საბჭოს წევრად და არის მისი აღმასრულებელი მდივანი.
9. საბჭოს აღმასრულებელი მდივანი:
 - ა) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის მოწვევისა და ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს
 - ბ) აცხადებს სხდომის დღის წესრიგს
 - გ) აფორმებს სხდომის ოქმს

- დ) ახორციელებს საბჭოს სხდომის სხვა პროცედურულ საკითხებს.
10. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:
 - ა) პირადი განცხადების საფუძველზე
 - ბ) სასამართლოს მიერ მისი ქმედუენაროდ ცნობის შემთხვევაში
 - გ) გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში
 - დ) იურიდიული პირის წევრობის შემთხვევაში - მისი ლიკვიდაციისას
 - ე) ასოციაციის წევრობის შეწყვეტის, ასოციაციიდან გარიცხვის ან ასოციაციის სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, გარდა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარისა
 - ვ) ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ საბჭოს წევრის ქმედება არ შეესაბამება წესდებისა და ამ დებულების მოთხოვნებს და/ან ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს
 - ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
 11. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური ადგილის შევსება ხდება საბჭოს წევრის არჩევის ამ დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობა

1. საბჭოს პირველი სხდომა მოიწვევა მისი არჩევიდან არაუგვიანეს სამი თვისა.
2. საბჭოს სხდომები მოიწვევა მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე ან ეცნობოს საბჭოს წევრებს სხდომის მოწვევამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
4. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას საბჭოს თავმჯდომარის, აღმასრულებელი მდივნის (ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე) საერთო კრების არანაკლებ 1/10-ის ან საბჭოს მინიმუმ ექვსი წევრის ინიციატივით.
5. საბჭოს პირველივე სხდომაზე აირჩევა საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს უფლებამოსილების ვადით. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს.
6. საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
7. საბჭოს გადაწყვეტილება უნარიანია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
8. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
9. იურიდიული პირის საბჭოს წევრობის შემთხვევაში ხმის უფლებით სარგებლობს იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან მის მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის წარმოდგენილი პირი. ასეთი წარმომადგენლობა უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით.
10. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი მდივანი. საწინააღმდეგო აზრის შემთხვევაში, თავის პოზიციას საბჭოს წევრი აფიქსირებს წერილობითი ფორმით, რაც დაერთვება საბჭოს გადაწყვეტილებას.
11. საბჭოს გადაწყვეტილება ასოციაციის საერთო კრებისა და გამგეობისათვის ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

მუხლი 5. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:
 - ა) გაეცნოს ასოციაციის საქმიანობის მიმართულებებს
 - ბ) ისარგებლოს ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე
 - გ) მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საქმიანობის სპეციფიკური საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში
2. საბჭოს წევრი ვალდებულია:
 - ა) დაესწროს საბჭოს სხდომებს
 - ბ) საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს დახმარება ასოციაციის გამგეობას საქმიანობის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებაში.
 - გ) დაიცვას ასოციაციის წესდების და ამ დებულების მოთხოვნები.

მუხლი 6. საბჭოს ანგარიშვალდებულება

1. საბჭო ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრებისა და გამგეობის წინაშე.
2. საბჭო ვალდებულია საქმიანობის ანგარიში წარადგინოს ასოციაციის საერთო კრებაზე წელიწადში ერთხელ მაინც.

3. არაგვეგმიური ანგარიშის წარდგენაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა, ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/10-ის ან საბჭოს მინიმუმ ექვსი წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის მის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. საბჭოს საქმიანობის დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, რეგულირდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებებით.
3. დებულების მიღებიდან ორი კვირის ვადაში დებულება უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ასოციაციის წევრებისათვის.

დამტკიცებულია საერთო კრების მიერ 20.05.2012 წელს.